სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

სამკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

მოსკოვში, სტალინგრადსა და კუიბიშევში ჩატარდა კალენდარული მატჩები. საინტერესო იყო თბილისის "დინამოსა" და სტალინგრადის "ტრაქტორის" გუნდების შეხვედრა.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამ გუნდების პირველი წრის თამაში დამთავრდა თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით. განმეორებით შეხვედრა ჩატარდა სტალინგრადში 18 აგვისტოს. "ტრაქტორი" განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა რევანშისათვის.

თბილისის "დინამომ" მთელი თამაში მეტად ცხოვლად და სწრაფი ტემპით ჩაატარა; მან კვლავ მოიპოვა უპირატესობა სტალინგრადელ ფეხბურთელებზე და მატჩი მოიგო ანგარიშით 4:2.

თბილისის "დინამომ" 16 თამაშიდან მოაგროვა 26 ქულა და კვლავ ინარჩუნებს მეორე ადგილს გათამაშების ცხრილში.

20 აგვისტო, 1946 წ.